25/07/2023

კონკურსი თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის აკადემიური პერსონალისთვის ვარშავის ქრისტიანული თეოლოგიის აკადემიაში (პოლონეთი) ერასმუს+ პროგრამის სტიპენდიის მოსაპოვებლად

მიმდინარე კონკურსი:
კონკურსი თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის აკადემიური პერსონალისთვის ვარშავის ქრისტიანული თეოლოგიის აკადემიაში (პოლონეთი) ერასმუს+ პროგრამის სტიპენდიის მოსაპოვებლად

საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების პერიოდი: 20/08/2023 – 20/09/2023
ცხადდება კონკურსი თსას-ის აკადემიური პერსონალისთვის ვარშავის ქრისტიანული თეოლოგიის აკადემიაში (პოლონეთი) ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის სტიპენდიის მოსაპოვებლად!

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია: თსას-ის აკადემიურ პერსონალს, რომელსაც მინიჭებული აქვს თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი და ფლობს ინგლისურ, რუსულ ან/და პოლონურ ენას.

მობილობის პერიოდი: 2023 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარი.
მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე (დამატებით 2 დღე მგზავრობისთვის)
სტიპენდიანტთა შესარჩევი პროცესი:
1. ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმება (თბილისის

სასულიერო აკადემია და სემინარია)
2. გასაუბრება კანდიდატთა შესარჩევ კომისიასთან (თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია)
3. საბოლოო შერჩევა/სტიპენდიის მინიჭება (მასპინძელი უნივერსიტეტი)

სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:
პასპორტის ასლი;
ცნობა სამსახურიდან (ინგლისურ ენაზე);
CV-ს ევროპული ფორმატი ინგლისურ ენაზე;
სამოტივაციო წერილი არაუმეტეს 1 გვერდისა; ტექნიკური მახასიათებლები: შრიფტი – Times New Roman, შრიფტის ზომა – 12, სტრიქონებს შორის დაცილება – 1.0, ველები – 2 სმ.;
რეკომენდაცია ინგლისურ ენაზე (თსას-ის ელ-ფოსტაზე: რეკომენდატორმა (თქვენი კათედრის გამგემ) უნდა გამოგზავნოს რეკომენდაცია);
შევსებული სამუშაო გეგმა ინგლისურ ენაზე (მხოლოდ აკადემიური პერსონალისთვის! სავალდებულოა, 8 საათიანი სალექციო დატვირთვა კვირაში; თსას-ის შესაბამისი კათედრის გამგის ხელმოწერით და ბეჭდით დამოწმებული) (იხ. დანართი);

გაცვლით პროგრამაზე განაცხადის გაკეთებით დაინტერესებულმა აკადემიურმა პერსონალმა სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (PDF ფორმატში) უნდა გადმოაგზავნოს თსას-ის ელ-ფოსტაზე: მიმდინარე წლის 20 სექტემბრის 15:00 საათამდე!

დამატებითი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:
ა) ელექტრონული რეგისტრაცია ელ-ფოსტაზე:
გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ :
არ არეგისტრირებს განაცხადებს ზემოთ მითითებული ვადის (20 სექტემბრის 15:00 საათი) გასვლის შემდეგ;
არ არეგისტრირებს არასრულ სააპლიკაციო პაკეტს;
სააპლიკაციო განაცხადი ელექტრონულად ჩაბარებულად ითვლება მხოლოდ გაგზავნის ღილაკის დაჭერის შემდეგ!
სააპლიკაციო დოკუმენტაციის წარმატებით გამოგზავნის შემდეგ, აპლიკანტი ელ.ფოსტაზე მიიღებს შესაბამის შეტყობინებას;
გასაუბრებების დრო და თარიღი ინდივიდუალურად დაეგზავნება ყველა აპლიკანტს.
დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით თსას-ის ელ-ფოსტაზე: ან ტელეფონზე: 599 90 82 88

განაცხადის ფორმა

tsas.ge